Minutes of the Coordination Council Meeting
Working Meeting
Minutes of the meeting №6

Tbilisi
18.11.2025

On November 18, 2025, a meeting of the Coordination Council of the LEPL - National Center for Education Quality Enhancement (hereinafter referred to as the Center) was held via the Zoom platform, attended by members of the Coordination Council and representatives of the Center.

The meeting of the Coordination Council was opened by Lasha Margishvili, Acting Director of the Center. He introduced the Council members to the changes made to the Center's regulations, according to which the Coordination Council reviews and approves the Center's Action and Strategic plans, and develops proposals for changes to them. In addition, the candidate(s) for the directorship of the Center will be selected by the Coordination Council and presented to the Minister of Education, Science, and Youth of Georgia, who will present the selected candidate to the Prime Minister of Georgia for appointment. The decision of the Coordination Council on the selection of the director candidate(s) shall be made by a majority of 3/4 of the total number of members. Lasha Margishvili noted that the changes will strengthen the organizational independence of the Center. The Acting Director informed the Council members about the submission of the Center's self-evaluation report to ENQA for a focused review and noted that the Center is expecting a visit from ENQA experts in February 2026. He thanked the members of the Coordination Council for their participation in the selection of the candidate for the Chairman of the Council for the Authorization of Higher Educational Institutions.

After learning about the aforementioned news, due to the fact that the elected Chairperson of the Coordination Council was unable to attend the meeting, Council member Natia Gabitashvili nominated the Secretary of the Council, Tatia Uberi, as the Acting Chairperson.
The Council agreed to elect the nominated candidate as Chairperson. Tatia Uberi thanked the Council members for their trust and nominated Council member Liana Kolkhitashvili as Acting Secretary.

In accordance with the agenda, Head of the Center's Planning, Research, and International Relations Department, Lasha Zivzivadze, presented the Center's draft strategy for 2026-2030.
To ensure broad public involvement and receive feedback, a public presentation of the draft strategy was held with stakeholders on September 12 of this year, and the document was published on the Center's official website for 10 calendar days.

In addition, on October 7, the Center's draft strategy for 2026-2030 was also presented to educational institutions.
The draft was also sent to the members of the Coordination Council so that they could review the document in detail and provide feedback.
The logical framework of the Center's strategy provides 4 strategic goals and 15 objectives, with corresponding measurable indicators. Indicators for goals and objectives are provided for 2030. Lasha Zivzivadze presented each goal and objective in detail.

After the presentation, in a question-and-answer format, Natia Gabitashvili asked to what extent the Center's new strategy is in line with the concept of higher education system reform. Lasha Zivzivadze responded that at this stage, there is no contradiction between the reform concept and the draft strategy. In addition, Lasha Margishvili noted that when the main nuances and framework of the reform are identified, it will be possible to discuss relevant changes, if necessary.

Acting Chairperson of the Coordination Council, Tatia Uberi, put the Center's draft strategy for 2026-2030 to a vote, and the council members approved the submitted draft strategy.

Proponent: 9

Opponent: 0

Lasha Margishvili thanked the Center's Planning, Research and International Relations Department for its work and development of the strategy document and noted that the next item on the agenda was to be the planned changes to the accreditation standards for higher education institutions, however, it was appropriate, with the consent of the Council, to remove the issue from the agenda, as it required additional consultations with stakeholders. The issue concerned the extension of the monitoring period for higher education institutions.

Lasha Margishvili declared the meeting closed and thanked the Council members for their cooperation and support.

Annex 1:

Name, surname	Position	Coordination Council
Tatia Uberi	Representative of the N(N)LE Association of Student Organizations of Georgia, PhD student at LLC Caucasus University School of Law;	Acting Chairman of the Council
Liana Kolkhitashvili	Director of Training Lab LLC;	Acting Secretary of the Council
Diana Freiberger	Executive Director of the International Foundation for Business Administration Accreditation (FIBAA);	Council member
David Gordon	Emeritus Professor, Faculty of Medicine, University of Manchester;	Council member
Natia Gabitashvili	Deputy Head of the International Department of the Ministry of Education, Science and Youth of Georgia;	Council member
Giorgi Chumashvili	Representative of the N(N)LE - Georgian Employers' Association, General Director of Tineti LLC	Council member
Maya Akhvlediani	Associate Professor of the Pedagogical Faculty of LEPL - Akaki Tsereteli State University;	Council member
Maia Rukhadze	Chemistry teacher at LEPL - Tbilisi Public School №221;	Council member
Tamta Grigolia	Manager of the subprogram "Development of the National Curriculum and Implementation of State Standards in Preschool and School Institutions of National Minorities" of the "Development of National Curriculum and School Textbooks" program at the Department of Preschool and General Education Development of the Ministry of Education, Science and Youth of Georgia;	Council member

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი
სამუშაო შეხვედრა
შეხვედრის ოქმი №6

ქ. თბილისი

18.11.2025

2025 წლის 18 ნოემბერს, Zoom პლატფორმის გამოყენებით, გაიმართა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) საკოორდინაციო საბჭოს სხდომა, რომელსაც საკოორდინაციო საბჭოს წევრები და ცენტრის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა - ლაშა მარგიშვილმა გახსნა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ცენტრის დებულებაში შესული ცვლილებები, რომლის მიხედვით, საკოორდინაციო საბჭო განიხილავს და ამტკიცებს ცენტრის სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებს, შეიმუშავებს წინადადებებს მათში შესატანი ცვლილებების შესახებ. ამასთან, ცენტრის დირექტორობის კანდიდატ(ებ)ი შეირჩევა საკოორდინაციო საბჭოს მიერ და წარედგინება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს, რომელიც შერჩეულ კანდიდატს წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს დასანიშნად. საკოორდინაციო საბჭოს მიერ გადაწყვეტილება დირექტორობის კანდიდატ(ებ)ის შერჩევის თაობაზე მიიღება წევრთა სრული შემადგენლობის 3/4-ის უმრავლესობით. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ცვლილებები გააძლიერებს ცენტრის ორგანიზაციულ დამოუკიდებლობას. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ცენტრის თვითშეფასების ანგარიშის ENQA-ში გაგზავნის თაობაზე, ფოკუსირებული შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ 2026 წლის თებერვალში ცენტრი ელოდება ENQA- ს ექსპერტთა ვიზიტს. მან მადლობა გადაუხადა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატის არჩევაში მონაწილეობისათვის.

აღნიშნული სიახლეების გაცნობით შემდეგ, გამომდინარე იქიდან, რომ საკოორდინაციო საბჭოს არჩეული თავმჯდომარე ვერ ესწრებოდა სხდომას, საბჭოს წევრმა, ნათია გაბიტაშვილმა, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად წარადგინა საბჭოს მდივნის, თათია უბერის, კანდიდატურა. საბჭო დაეთანმა წარდგენილი კანდიდატის თავჯდომარედ არჩევას, თათია უბერმა მადლობა გაუხადა საბჭოს წევრებს ნდობისთვის და მდივნის მოვალეობის შემსრულებლად წარადგინა საბჭოს წევრი ლიანა კოლხიტაშვილი.

დღის წესრიგის შესაბამისად, ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ლაშა ზივზივაძემ, წარადგინდა ცენტრის 2026-2030 წლების სტრატეგიის პროექტი. საზოგადოების ფართო ჩართულობის უზრუნველყოფისა და უკუკავშირის მიღების მიზნით, მიმდინარე წლის 12 სექტემბერს განხორციელდა სტრატეგიის პროექტის საჯარო წარდგენა დაინტერესებულ მხარეებთან და დოკუმენტი 10 კალენდარული დღის ვადით გამოქვეყნდა ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ამასთან, 7 ოქტომბერს, ცენტრის 2026-2030 წლების სტრატეგიის პროექტი წარდგენილ იქნა საგანმანათლებლო დაწესებულებებთანაც. პროექტი ასევე გაგზავნილი იყო საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან, იმისათვის, რომ დეტალურად გაცნობოდნენ დოკუმენტს და წარედგინათ უკუკავშირი. ცენტრის სტრატეგიის ლოგიკურ ჩარჩოში მოცემულია 4 სტრატეგიული მიზანი და 15 ამოცანა, შესაბამისი

გაზომვადი ინდიკატორებით. მიზნების და ამოცანების ინდიკატორები მოცემულია 2030 წლისთვის. ლაშა ზივზივაძემ დეტალურად წარადგინა თითოეული მიზანი და ამოცანა. პრეზენტაციის შემდეგ, კითხვა-პასუხის ფორმატში, ნათია გაბიტაშვილმა იკითხა, რამდენად არის ცენტრის ახალი სტრატეგია შესაბამისობაში უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის კონცეფციასთან. ლაშა ზივზივაძემ უპასუხა, რომ მოცემულ ეტაპზე რაიმე წინააღმდეგობა რეფორმის კონცეფციასა და სტრატეგიის პროექტს შორის არაა. ამასთან, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ როდესაც გამოიკვეთება რეფორმის ძირითადი ნიუანსები და ჩარჩო, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება მსჯელობა შესაბამისი ცვლილებების თაობაზე.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა, თათია უბერმა, კენჭისყრაზე დააყენა ცენტრის 2026-2030 წლების სტრატეგიის პროექტი და საბჭოს წევრებმა დაამტკიცეს წარდგენილი სტრატეგიის პროექტი.

მომხრე: 9

მოწინააღმდეგე: 0

ლაშა მარგიშვილმა მადლობა გადაუხადა ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს გაწეული შრომისთვის და სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებისთვის და აღნიშნა, რომ შეხვედრის შემდეგი საკითხიუნდა ყოფილიყო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებში დაგეგმვილი ცვლილებები, თუმცა მიზანშეწონილი იყო, საბჭოს თანხმობის შემთხვევაში, საკითხის მოხსნა დღის წესრიგიდან, რადგან საჭიროებდა დამატებით კონსულტაციებს დაინტერესებულ მხარეებთან. საკითხი ეხებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგის ვადის გაზრდას.

ლაშა მარგიშვილმა სხდომა დასრულებულად გამოაცხადა და მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.

დანართი 1:

სახელი, გვარი	**პოზიცია**	**საკოორდინაციო საბჭო**
თათია უბერი	ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის წარმომადგენელი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი;	საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ლიანა კოლხიტაშვილი	შპს „ტრენინგ ლაბის" დირექტორი;	საბჭოს მდივნის მოვალეობის შემსრულები
დიანა ფრეიბერგერი	ბიზნესის ადმინისტრირების აკრედიტაციის საერთაშორისო ფონდის (FIBAA) აღმასრულებელი დირექტორი;	საბჭოს წევრი
დევიდ გორდონი	მანჩესტერის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ემერიტუსი პროფესორი;	საბჭოს წევრი

ნათია გაბიტაშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინიტროს საერთაშორისო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;	საბჭოს წევრი
გიორგი ჩუმაშვილი	ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენელი, შპს ,, თინეთის" გენერალური დირექტორი;	საბჭოს წევრი
მაია ახვლედიანი	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;	საბჭოს წევრი
მაია რუხაძე	სსიპ - ქალაქ თბილისის №221-ე საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი;	საბჭოს წევრი
თამთა გრიგოლია	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინიტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტში „ეროვნული სასწავლო გეგმისა და სასკოლო სახელმძღვანელოების განვითარების" პროგრამის „ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება და სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში" ქვეპროგრამის მენეჯერი.	საბჭოს წევრი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

საკოორდინაციო საბჭო

მდივნის მოვალეობის შემსრულებელი

კოლხიტაშვილი ლიანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

საკოორდინაციო საბჭო

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

უბერი თათია